

ენერგეტიკული პარამეტრების შეფასება – ლანდშაფტის ფუნქციონირებისა და გარემოს ოპტიმიზაციის პროცესის აუცილებელი წინაპირობა

ეთერ დავითაია

ელ.ფოსტა: eter.davitaia@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ლანდშაფტური კომპლექსების კვლევისას, მათი ოპტიმიზაციის (მელიორაცია, რეკულტივაცია, დაცვა) ღონისძიებათა დაგეგმარებისა და პროექტირების პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსების ენერგეტიკული პარამეტრების შეფასება. ამ შემთხვევაში უმთავრესია ლანდშაფტის ორი ძირითადი ენერგეტიკული პარამეტრი – მზის რადიაცია და გრავიტაციული ენერგია (ამ უკანასკნელში ძირითადად იგულისხმება რელიეფის ენერგია).

გრავიტაციული ენერგიის ტრანსფორმაცია ბუნებრივ კომპლექსებში გამოიხატება ისეთ მახასიათებლებში, როგორცაა მთლიანად კომპლექსის პოტენციალური ენერგია და ცალკეული გეომასების მუშაობა,

$$(E = E_p + \sum A_n),$$

სადაც, E_p – ლანდშაფტის პოტენციალური ენერგიაა, $\sum A_n$ – გეომასების მუშაობის არითმეტიკული ჯამი

ლანდშაფტის პოტენციალური ენერგია გამოიანგარიშება ფორმულით:

$$E = mgh,$$

სადაც, m – ლანდშაფტის მასაა, g – თავისუფალი ვარდნის აჩქარება ($9,81 \text{ მ/}^2$), h – ლანდშაფტის (გეოპორიზონტების) აბსოლუტური სიმაღლე.